საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-455

ქ. თბილისი

13/06/2018

ჭიათურის მუნიციპალიტეტში შპს „ემ ენ ჯგუფის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 5.1 ქვეპუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ჭიათურის მუნიციპალიტეტში შპს „ემ ენ ჯგუფის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #8; 04.06.2018წ.

2. შპს „ემ ენ ჯგუფი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #8; 04.06.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ემ ენ ჯგუფს“-ს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ემ ენ ჯგუფი“ -ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჭიათურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი